სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/91

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი ნუგზარ ყავლაშვილის მოხსენებითი ბარათი ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებებში არსებული სამეცნიერო თანამდებობების ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის $რ^5$ ქვეპუნქტისა და არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი ნუგზარ ყავლაშვილის 2020 წლის 12 მარტის N294560 წერილის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები:

	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
მართვის პროცესებისა და მოწყობილობების განყოფილება			
1	განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	1	- გააჩნდეს განყოფილების თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო სპეციალობა; - ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციის მასალებში), რომელთაგან 3 მაინც – საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემაში (Elsevier, Scopus, Web of Science და სხვა ბაზებში) ან/და საერთაშორისო კონფერენციათა მასალებში.
ინფორმაციის გარდაქმნის პრობლემების განყოფილება			
2	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	0,5	- გააჩნდეს განყოფილების თემატიკის შესაბამისი სამეცნიერო სპეციალობა; - გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), რომელთაგან 3 მაინც: - იმ განყოფილების სამეცნიერო მიმართულებით, რომელშიც კონკურსანტი აპირებს განაცხადის შეტანას; - საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებსა ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში.
ენობრივი მოდელირების განყოფილება			

3	მეცნიერი თანამშრომელი	0,5	გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ბოლო სამი წლის მანძილზე 1 სამეცნიერო ნაშრომი მაინც.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**